№ 215
ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 215
ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227



## ქართული თეატრი

პარასკევს, 8 ოქტომბერს,
სახსოვრად ქართულის სამუდამო სცენის ოცის წლის მოღვაწეობისა
ქართული დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

პირველი მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდგან

### რაც გინახავს ვეღარ ნახავ

II

მესამე მოქმედება გ. სუნდუკიანცის კომედიიდგან

### პეპო

III

მესამე მოქმედება გოგოლის კომედიიდგან

### რევიზორი

დასასრულ
სადღესასწაულო აქტი და ბ-ნ კავსაძის ხორო
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე
ბილეთები ისყიდება დილის ათ საათიდგან.

---

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით
გაიხსნა ქალაქ ფოთში

### „საბუხჰალტერო კურსები"

კურსებზედ მიიღებიან ორივე სქესისანი, არა ნაკლებ 16 წლისა. სწავლა ერთის წლით და ორის თვით იქნება და ეღირება ასი მანეთი.

სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდგან.

კურსებზედ ასწავლიან:

1) საკომერციო არითმეტიკას შინა და გარე ვაჭრობისას; 2) ბუხგალტერიას მარტივს, ორკეცს და ამერიკულ სისტემისას; 3) საკომერციო ეკონომიას; 4) სავაჭრო და სავექსილო წესდებულებას; 5) საკომერციო კორრესპონდენციას; 6) სუფთა წერას და გაკრულ ხელს.

პროგრამმასა და დაწვრილებით პირობებს გავუგზავნით პირველ მოთხოვნისთანავე.

(10—3) კურსების გამგე კ. მ. გიგინეიშვილი

---

## ქართველ ქალთა სამკერვალო

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა-კერვის კურსებზედ.

---

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად-ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—ნ.—2)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1\frac{1}{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7\frac{1}{2}$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ვ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10\frac{1}{2}$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**ვ. მ. მახვილაძე**—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

---

## ფელეტონი

### ბიძია თომას ქოხი

ბიჩერ-სტოუსი
(შემდეგი *)

**V**

ამ ხანად ლიზა გაემართა ნ. ჩვენებ სახლისაკენ. ამ სახლში სცხოვრობდა სენატორი ბერდი თავისის ოჯახობით. თუმცა გულ კეთილი კაცი იყო, მაგრამ სამსახურში ძველს კანონებს მისდევდა და გაქცეულს ნეგრების დაჭერას თანაუგრძნობდა, რაც მეტის მეტად არ ესიამოვნებოდა იმისს ცოლს. ეს ქალი, როგორც ნამდვილი ქრისტიანი, მონების განთავისუფლების მომხრე იყო.

საღამოს ბ-ნი ბერდი ის იყო დაბრუნდა სახლში სამსახურიდგან. ცოლისა და ქმარს შუა, სხვათა შორის, გაქცეულ ნეგრების დაჭერის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი.

— მე არ მესმის ღმერთმანი,—ამბობდა ქნი ბერდი, ცოცხალისა და ენერგიის შეხედულობის ქალი, რომელიც ბავშვებთან ერთად მისჯდომოდა სტოლს და ქმარშვილს ჩაის უკეთებდა: არ მესმის მეთქი, როგორ შეიძლება, რომ აგრე მკაცრად ექცევიან გაქცეულს ნეგრებს, რატომ იმას აღარ წარმოიდგენენ, როგორ ექცევიან იმათ თავიანთი პატრონები. ალბად სულს უხუთავენ, რომ ეგენიც გარბიან.

— დიდად პატივსა ვცემ შენს გრძნობებს, ჩემო მეგობარო, მიუგო ბ-ნმა ბერდმა,—მხოლოდ საქმე ის არის, რომ ყოველ მაგათ გაქცევაზედ საზოგადოება საშინლად ჰღელდება, რაიცა არა სასურველს მოვლენას წარმოადგენს. აი, სწორედ ამისთვის საჭიროა, რაც შეიძლება, სასტიკად დაისაჯოს ყოველი მაგვარი დანაშაული.

— მერე, დავიჯერო, შენც აგრე მოექცეოდი იმათ? დავიჯერო შეგიძლიან გააგდო სახლიდგან მშიერ-მწყურვალი, სიცივისაგან გაყინული ადამიანი, რომელიც შენ სახლის კარს შემოაფარებს თავს. არა, ეს ვერ წარმომიდგენია!—წარმოსთქვა აღელვებულმა ქ-ნმა ბერდმა.

ის იყო პასუხი უნდა მიეცა ქმარს ცოლისათვის, რომ გაიღო კარი და მსახურმა გაიხმო ქალბატონი სამზარეულოში. ცოტა ხანს უკან ბ-ნ ბერდსაც დაუძახეს.

როცა ის შევიდა სამზარეულოში, თვალწინ შემდეგი სურათი წარმოუდგა: ვიღაც უცნობი, ახალგაზდა ქალი, გაფითრებული და გულწასული, მთლად გაყინული დასისხლიანებულის ფეხებით, უგრძნობლად იდო ტახტზედ. ქ-ნი ბერდი გოგოს დახმარებით სცდილობდა არსებაში მოეყვანა საბრალო ქალი.

მოხუცს მოსამსახურეს აეყვანა ხელში გათოშილი ბავშვი, მოსჯდომოდა იქვე ბუხარს და ფეხებს უთბობდა. ბევრის წვალების შემდეგ ლიზა როგორც იყო გონს მოიყვანეს.

შეშინებულმა მიავლ-მოავლო თვალი ქოხს და რა ვერ ნახა თავის ახლო თვისი ბავშვი, სასოწარკვეთილებით დაიწივლა და ქვითინი ამოუშვა.

— ჩემი გარრი... მომტაცეს!..

ამის ხმაზედაც ბავშვმა მიატოვა მსახური, მიირბინა დედასთან და ალერსი დაუწყო.

— თქვენი ჭირიმე, ქალბატონო, შემიბრალეთ, ნუ ჩაუგდებთ ხელში იმათ ჩემს გარრის,—შეეხვეწა ლიზა.

— დამშვიდდი, აქ ნურაფრისა ნუ გეშინიან,—ანუგეშებდა ქ-ნი ბერდი, რაც-კი შეეძლო.

ბოლოს, როგორც იყო, ძლივს დაამშვიდეს ლიზა და დაქანცულს იმდენის წვალებისა და ტანჯვისაგან ჩაეძინა, მაგრამ ძილშიაც-კი არ უშვებდა ხელიდგან თავისს პირმშოს.

როცა გამოეღვიძა ლიზას, სთხოვა გულ-კეთილს დიასახლისს მიეცა ნება მოელაპარაკებოდა.

ისეთი საბრალო შეხედულობა ჰქონდა ლიზას, იმდენი დარდი და თხოვნა გამოიხატებოდა იმისს თვალებში, რომ ქ-ნმა ბერდმა ვეღარ შეიმაგრა თავი იმისს დანახვაზედ და ღაპა-ღუპით გადმოსცვივდა ცრემლები.

— ჩემო კარგო, გული გაიმაგრე, აქ ჩვენსას ხელსაც ვერავინ გახლებს,—მიუბრუნდა იგი ლიზას: ისა სჯობიან დამშვიდდე და შენი ვინაობა და თავ-გადასავალი გვიამბო.

ლიზამ გულ-ახდით უამბო ამათ ყველაფერი, და როცა გაათავა ლაპარაკი, შეამჩნია, რომ იმისმა მოთხრობამ დიდად იმოქმედა მსმენელებზედ.

— ახლა, შე საცოდავო, სათ აპირებ გაქცევას?—შეეკითხა ქ-ნი ბერდი.

— კანადაში მინდა გავიქცე,—მიუგო ლიზამ:—რა, ძალიან შორს არის აქედგან?

— იმაზედ უფრო შორს, ვიდრე შენა გგონია. მაგრამ არა უჭირს-რა, ჩვენც დაგეხმარებით. მანამ-კი ყოჩაღათ იყავ, გულს ნუ გაიტეხ. ღვთის იმედი გქონდეს, ის არ დაგტოვებს უნუგეშოდ!

ამით შესწყვიტეს ლაპარაკი და ცოლ-ქმარნი გავიდნენ სასტუმრო ოთახში მოსალაპარაკებლად.

— ეგენი ამაღამვე უნდა გავგზავრნეთ აქედგან,—დაიწყო ბ-ნმა ბერდმა.

— მერე სად? ჰკითხა ცოლმა.

— მე ერთი ნაცნობი მეფერმე მყავს,—მიუგო ქმარმა,—სახელად ტრომპი ჰქვიან, ასე შვიდის მილის სიშორეზედა სცხოვრობს აქედგან, ერთს ისეთს მიყრუებულს ალაგს, ჭაობებ შუა, რომ, სრული იმედია, მდევარმა ვერც-კი მიაგნოს მაგათ იქ, მხოლოდ საქმე ის არის, რომ ჩემს გარდა მაგათ ვერავინ უწინამძღვრებს; ამ ჭაობებში ორი ისეთი სახიფათო ადგილია, მეტადრე მეორე, რომ ხამის კაცისათვის იქ გასვლა ძალიან საშიშია, თითქმის შეუძლებელიც. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ შესაძლებელია შიგ ჩაირჩოს, შუა ღამისას უნდა გავემგზავრნეთ აქედგან და შენ აბა მანამ მაგათ თეთრეულიდგან თუ ტანთ-საცმელიდგან აურჩიე რამ.

— გეტყობა გული თავზედ უკეთესი გქონია,—გააწყვეტინა ქ-ნმა ბერდმა და გულ-მხურვალედ მოეხვია ქმარს.

გზა მართლადაც მეტის-მეტად ცუ-

*) იხ. „ივერია". № 214.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავრობის განკარგულებანი

—

გამორიცხულ იქმნა სამსახურიდგან და დარჩა შტატს გარეთ ბათუმის მილიციის ცხენოსანთა რაზმის უფროსის თანაშემწე, მილიციის პორუჩიკი ლოლობერიძე, რომელიც დანიშნულ არ იქმნა ქუთაისის გუბერნიის ახლად დაწესებულ საპოლიციო დარაჯთა შორის.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისისავე თხოვნის თანახმად ტფილისის ოლქის სასამართლოს კანცელარიის მოსამსახურე ირაკლი კლიმიაშვილი.

# ახალი ამბავი

—

⁂ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ კავკასიის სტიპენდიატთა შორის ჩარიცხა შემდეგი ქართველი მოსწავლენი: მოსკოვის უნივერსიტეტში ნიკ. თავდგირიძე, არჩ. ჯაფარიძე, ივ. ფარადაშვილი, ლევან ნათაძე, ნიკ. ჩიკოგიძე და ევგ. თოფურია და ნოვოროსიის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი რ. ნიჟარაძე.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მასწავლებლობის მოწმობა მისცა, სხვათა შორის, შემდეგს ქართველ ქალებს: ა. დ. ხახანაშვილს, ო. პ. ჯოხაძეს და ო. ნ. კობიაშვილს.

⁂ ორშაბათს, 4 ოქტომბერს, სასახლის ქუჩაზედ მიმავალს სემინარიელს გრიგოლ გოგოლაძეს უეცრად თავს ბრუ დაესხა, წაიქცა ქვაფენილზედ, რომელზედაც საფეთქელი დაარტყა და თავი გაიტეხა. გრძნობა-მიხდილი გოგოლაძე პოლიციელმა ქალაქის მთავარ-სამკურნალოში წაიყვანა სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად. ამ დროს, გოგოლაძის მშობელთა და თვით პოლიციელის სიტყვით, სამკურნალოში რამდენიმე მკურნალი იმყოფებოდა, მაგრამ არც ერთმა მათგანმა „წეს რიგის“ სახელით დაშავებულს დახმარება არ აღმოუჩინა, აქაო-და ამ სამკურნალოს სხვა დანიშნულება აქვსო, და ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. გოგოლაძე გზაში გარდაიცვალა კუკიის ხიდზედ, ვიდრე საავადმყოფოში მიიყვანდნენ. აჰა, კიდევ ერთი ზედ-მეტი საბუთი ჩვენებურ მკურნალთა „ნამეტან გულმოდგინეობისა“, თუ სრულის უსულგულობის დასამტკიცებლად!

⁂ დღეს, 7 ოქტომბერს, შუადღის 1 ლ საათზედ აკურთხებენ საქალაქო სასწავლებელს გრაფისა და სამების ქუჩების კუთხეში.

⁂ ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის სამოსწავლო ნაწილის ინსპექტორი მორევი, რომელსაც რამდენჯერმე მოლაპარაკება ჰქონდა ტფილისის საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოსთან სასწავლებლის საჭიროდ დაარსების შესახებ, 4 ოქტომბერს ტფილისიდგან წავიდა.

⁂ ამერიკულ ვაზის სანერგეთა გასაშენებლად, ვაზის სხვა-და-სხვა გვარ ავადმყოფობასთან საბრძოლველად, ვენახის მუშათათვის კურსების შესანახად, მცხოვრებთათვის მევენახეობის შესახებ წიგნაკების გამოსაცემად, საცდელ ადგილების გასამართავად, სპეციალისტთა და ვენახის მუშათა შესანახად და მევენახეობის სხვა საჭიროებათათვის მიწად-მოქმედების სამინისტროს დაუნიშნავს მომავალ წლისათვის 25,000 მან.; ფილოქსერასთან საბრძოლველად გადადებულია მხოლოდ 20,000 მანეთი, მაშინ, როდესაც წინად ამ საგნისათვის 200,000 მან. იხარჯებოდა.

⁂ ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებელ ღონისძიებათა გამოსარკვევად კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილება ამ შემოდგომაზედ ქუთაისში მეაბრეშუმეთა კრებას გამართავს ქუთაისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით. კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყველას, ვინც-კი ქუთაისის გუბერნიაში მეაბრეშუმეობას, აბრეშუმეულობით ვაჭრობას და ამ სამეურნეო დარგის სწავლებას მისდევს, და აგრეთვე— ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაციის წარმომადგენელთ და მთავრობის სპეციალისტებს. კრების გათავების შემდეგ მისი დადგენილებანი წარედგინება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს. ვისაც ჰსურს რომელიმე საგანი განხილულ იქმნას კრების მიერ, უნდა ამ საგნის შესახებ დასაბუთებული განცხადება, ანუ დაწერილი მოხსენება წარუდგინოს კრებას თავისს დროზედ და არა უგვიანეს ერთის დღისა კრების დაწყებამდე.

⁂ გზათა სამინისტრომ შეიმუშავა ფოთის ნავთ-სადგურის გარეგან მოწყობილების გადაკეთების პროექტი, რომელიც ტეხნიკურის მხრივ უკვე მოწონებულ იქმნა ხსენებულ სამინისტროს ინჟენერთა საბჭოს-მიერ.

⁂ ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო დაარსდეს ქ. ზუგდიდში საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.

⁂ როგორც ისმის, ტფილისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწის ადგილზედ ჰნიშნავენ ახალ-გორის ქსენონის სასოფლო მკურნალს ბ-ნს ბრომძელს.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრი ა. ა. ქალანთარი ამ დღეებში მოხსენებას წაიკითხავს საზოგადოებაში რძის მეურნეობის გამოფენის შესახებ, რომელსაც იგი დაესწრო პეტერბურგში, და აგრეთვე რძის მეურნეობის მოღვაწეთა იმ გადაწყვეტილებათა შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანას შეეხება.

⁂ 5 ოქტომბერს ქალაქის გამგეობამ ახალი წინადადება მიიღო დიურანის ფირმისაგან პარიჟიდგან ტფილისის ცხენის რკინის გზის წარმოების კონცესიის შესახებ.

⁂ ტფილისის მოქალაქეთა სახივარი ტფილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს იმ დადგენილებაზედ, რომელიც ტფილისის მოქალაქეთა გამგეობას უწესრიგოდ მოწყობას შეეხება, ამ დღეებში გაგზავნილ იქმნა სენატში.

⁂ როგორც ისმის, ტფილისის საგუბერნიო მთავრობას არ შეუწყნარებია ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტფილისში საქალაქო სასწავლებელი დაარსდეს რუსეთის მწერლის ბელინსკის სახელობაზედ, მისი გარდაცვალების დღიდგან 50 წლის გასვლის სახსოვრად.

9 ნოემბერს ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე ზლუდერის საზოგადოების აზნ. ვასილ ხმიადაშვილისა, რომელსაც ბრალდება სამსახურის დროს დანაშაულის ჩადენა, სახელდობრ ისა, რომ თუმცა მან სურამის გამომძიებლისაგან განკარგულება მიიღო, ქარუმ ხუბიაშვილი გორის საპყრობილეში წარადგინეო, მაგრამ განზრახ თავდებით განათავისუფლა ეს ტუსაღი, რომელიც ამას შემდეგ დაემალა გამოძიებას და სასამართლოს და ყაჩაღობა დაიწყო გორის მაზრაში.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსმა ვერა სცნო შესაძლებლად ქალაქის თხოვნის შეწყნარება იმის შესახებ, რომ ნორიოს ქუჩის პირდაპირ საქვეითო გზა გაიხსნას რკინის გზის ლიანდაგზედ ავჭალის ქუჩიდგან; მაგრამ სამაგიეროდ განზრახვა აქვს დაუყოვნებლივ გაიყვანოს რკინის გზაზედ ისეთი საქვეითო ხიდი, როგორიც ნაძალადევისათვის არსებობს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ავჭალის ხიდის გაყვანა რკინის გზაზედ ამ მოკლე ხანში დამთავრდება.

⁂ იმ სამეურნეო-სამოსწავლო გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელსაც კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილება გამართავს სამხედრო მუზეუმში, სულთან-კრიმ გირეიმ სთხოვა ქალაქის მოურავს, დაგვითმეთ ალექსანდრეს ბაღი იმ ნაწარმოებთა გამოსაფენად, რომელიც არ დაეტევა მუზეუმშიო. ამასთან კომიტეტის თავმჯდომარე დასძენს, რომ თუ საჭირო იქნება, ბაღში შეიძლება გამვლელთათვის გზა გახსნილი იყოსო.

⁂ სიღნაღის მაზრის მკურნალმა შეატყობინა ტფილისის სამკურნალო გამგეობას, რომ სოფ. დედოფლის წყაროში ციმბირის ჭირით ავად გახდა თიონეთის მაზრის სოფ. ალვანის გლეხი იოსებ ჯიაშვილი, ხელობით მწყემსი.

⁂ „კავკ.“-ს შეუტყვია, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ერმოლოვს დაახლოვებით გაუცვნია ბაქოს ნავთის მუშათა გაჭირვებული მდგომარეობა და საჭიროდ დაუნახავს დაარსდეს მუშათათვის განსაკუთრებული საცხოვრებელი ადგილები, ჰიგიენის მხრივ კარგად მოწყობილი.

---

დი გამოდგა. ბევრის ტანჯვისა და წვალების შემდეგ, რის ვაი-ვაგლახით ეტლმა ძლივს გამოაღწია ქოხებს და პატარა ხანს უკან ერთის დიდის ფერმის წინ გაჩერდა. მგზავრები გადმოვიდნენ ძირს. თითონ სახლის პატრონმა გაუღო კარი. ის იყო მაღალის ტანისა, ჩასხმული ვაჟკაცი, წითელის თმა წვერით და უსიამოვნო შეხედულობისა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ძალიან გულკეთილი და სათნო ხასიათისა. ამას ყველა თავისს მონები განეთავისუფლებინა და შვილებთან ერთად განმარტოვებით ცხოვრებდა აქ, და ამათისავე დახმარებით მისდევდა ხვნა-თესვას.

ბ-ნმა ბერდმა უამბო ყველაფერი დაწვრილებით და ბოლოს ჰკითხა, თანახმაა თუ არა მისცეს საცოდავს დედაკაცს თავის შვილით, დროებით მაინც, თავშესაფარი.

— თანახმა ვარ,—მიუგო მასპინძელმა.

— გმადლობთ, დარწმუნებული ვიყავ, რომ უარს არ მეტყოდით,— უთხრა ბ-ნმა ბერდმა და მადლობის ნიშნად მაგრად ჩამოართვა ხელი.

— თუ ინებეს და აქაც მობრძანდნენ, ჩვენ გაჩვენებთ იმათ სეირს, ექვსი ისეთი ტალიკ-ტალიკი ბიჭები მყავს, რომ ღმერთმანი, მე არაფერში ჩამომივარდებიან. ვნახოთ, რასაც წაიღებენ.

— დამშვიდდი, ჩემო კარგო,— მიუბრუნდა იგი მგზავრობისაგან დაღლულ-დაქანცულს ლიზას.

— აქ ბუზსაც ვერავინ აგიფრენს!..

გამოთხოვებისას ბ-ნმა ბერდმა ტრომას ცოტაოდენი ფული გადასცა და სთხოვა, ეს ფული ლიზასთვის მიეცა.

### VI

დავუბრუნდეთ ახლა ბიძია თომას ქოხს. ბურუსიანი დილა იყო, ჯერ კიდევ ყველას ეძინა, რომ საბრალო ხლოია, რომელიც დღეს კვლავინდელზედ ადრე წამომდგარიყო, გულჩათუთქული ქმარს სამგზავროდ ამზადებდა. ორივენი მეტად ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ. ხლოიას ხომ თავი ველარ შეეკავებინა, წამის-წამს თვალზედ მომდგარს ცრემლს იწმენდდა და კვლავ განაგრძობდა ბოხჩის ლაგებას. თომა ჯერ იჯდა და გულმოდგინედ კითხულობდა სახარებას, მერე ადგა, დაჰკეტა წიგნი და მიუახლოვდა მძინარე ბავშვებს, რომ უკანასკნელად დამტკბარიყო მათის ცქერით.

— ვინ იცის, ჩემო ბიჭუკებო, იქნებ თქვენი უბედური მამა უკანასკნელად-ღა სტკბება თქვენის ცქერით,—წაიღუღუნა მან მწარედ.

ხლოიამ ველარ შეიმაგრა თავი და ხმა მაღლა მოჰყვა ქვითქვითს.

— მე ვიცი,—წუწუნებდა ის: რომ უნდა ვემორჩილებოდეთ ჩვენს ბატონებს, მერე და განა ეს მესაძლებელია.

— ნეტა ვიცოდე მაინც, სად იქნები! თუმცა ქალბატონი იმედს იძლევა ერთი წლის შემდეგ შენის გამოხსნისას, მაგრამ რა გამოვიდა, კარგად ვიცი, როგორც ექცევიან ნეგრებს იქ, ქვევით, შენ იქ დიდხანს ვერ გასძლებ.

— ღმერთი ყველგან ერთია, ხლოია,—მიუგო თომამ: ჩვენ უნდა ვემადლიერებოდეთ იმისთვისაც, რომ მე გამყიდეს და არა შენ შვილებით. აქამდისაც არ გვივიწყებდა უფალი და, იმედია, არც შემდეგ დაგვტოვებს უნუგეშოდ.

— რა ნუგეში, რის ნუგეში, რას ლაპარაკობ?—გააწყვეტინა ხლოიამ: ბატონს, რაც უნდა იყოს, არ უნდა გაეყიდნე, ეგ უსამართლობაა...

— ხლოია, გააჩერა თომამ: თუ ჩემი სიყვარული და პატივისცემა გაქვს, ეგ აღარა სთქვა, ბატონები საზოგადოდ ყველაფერს მზას არიან დაჩვეულნი, ჩვენი ბატონი-კი სხვებს გაცილებით სჯობიან. დარწმუნებული ვარ, ძალიან რომ არ გასჭირვებოდა საქმე, თავისს დღეში არ გამყიდდა.

— რაც უნდა იყოს, ისა სტყუის შენთან,—გაიძახოდა თავისას ხლოია. —ეჰ, ან რაღას ვლაპარაკობ, ის არა სჯობიან გაჩუმდე.

ამ დროს ბავშვებს გამოეღვიძათ კიდეც და მთელი ოჯახობა შემოუსხდა მაგიდას სასაუზმოდ. საჭმელები კვლავინდელზედ უხვად მოემზადებინა ხლოიას; იგი სცდილობდა ამ წასვლის დროს, რაც შეიძლება ძალიან ესიამოვნებინა თომასთვის.

როცა ისაუზმეს, ხლოიამ ისევ ბოხჩას მიჰყო ხელი.

— აი აქ შენი სათბუნებელია, აქ კიდევ წინდებია, რომელიც წუხელის დაგიკერე. ნეტავი ვიცოდე, ამას იქით ვინღა მოგიქსოვს წინდებს,—ამოოხვრით დააყოლა მან.

ამ სიტყვებზედ კვლავ ცრემლები გადმოსცვივდა.

ამ დროს ქოხში ემილია შემოვიდა და რა-კი შეასწრო თვალი მომტირალს ხლოიას, თავი ველარ შეიმაგრა და თითონაც აქვითქვითდა. ბოლოს რის ყოფით შეიმაგრა ძლივს თავი და ამ სიტყვებით მიჰმართა თომას.

— მე, თომა, ამ ხანად ფულის მოცემა არ შემიძლიან, რადგან სული ერთია, ვიცი, წაგართმევენ. მაგრამ ღმერთს-კი გაძლევ თავდებად, რომ ამ ახლო მომავალში უთუოდ გამოგიხსნი. იმედს ნუ დაჰკარგავ და უფალს მიენდე.

ამ დროს კარები გაიღო და სახლში შემოაბოტა გალლიმ, ამის დანახვამ პირში სიტყვა გაუშრო ყველას. ის მიუბრუნდა თომას და უბრძანა მომზადებულიყო წასასვლელად. ხლოიამ ხელმარდად შეუკრა თომას ბოხჩა, და თან ისეთის სიძულვილით გადაჰხედა ვაჭარს, თითქოს ერთის შეხედვით იმის შემუსვრას ჰლამობდა. თომას ხმაც არ ამოუღია, მოავლო ხელი დამზადებულს ბოხჩას, მოიდო ზურგზედ და მშვიდად გაჰყვა უკან თავისს ახალს პატრონს. კვალდაკვალ მისდევდა მას გამწარებული ცოლშვილიც.

როცა გაიგეს,—თომა მიჰყავთო, მთელი სოფელი შეიყარა მასთან გამოსამშვიდობებლად.

ზოგს ცრემლებიც კი მოერია თვალებში.

ჩაჯდა თუ არა თომა ეტლში, გალლიმ დასაჯდომ ადგილიდგან ამოიღო ბორკილები და ხელფეხზედ გაუკეთა, ამის დანახვაზედ ხალხს უსიამოვნება დაეტყო.

— გარწმუნებთ, ბატონო გალლი, საჭირო არ არის მაგ გვარი სიფრთხილე,—გადმოსძახა აივნიდგან ქ-ნმა შელბმა.

— არა, ბატონო, მე ამას წინადაც ხუთასი დოლლარი დავკარგე ჩემის გაუფრთხილებლობით,—მიუგო მკვახედ გალლიმ.

— მაგის მეტი მოსალოდნელიც არ იყო მაგისაგან!—წამოიძახა გამწარებულმა ხლოიამ.

— ძალიანა მწყინს, რომ ვერ მოვასწარი ახალგაზდა ბატონს გამოვთხოვებოდი, სთქვა ნაღვლიანად თომამ: მომიკითხეთ მაინც!

გალლიმ დაჰკრა ცხენს და ეტლი დაიძრა. თომამ უკანასკნელად მიავლ-მოავლო თვალი იქაურობას. წავიდა, მოშორდა საწყალი თომა საყვარელს სამშობლო მხარეს, რო-

*. დ. ზესტაფონი, (შორაპნის მაზრა). დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ზესტაფონელებს ეღირსად თავისი ახალი ეკკლესიის კურთხევა. ექვსი-შვიდი წელიწადია, რაც ამ ეკკლესიას აშენებს ბ-ნი გ. ჩუბინიძე თავისის საკუთარის ხარჯით და, როგორც ამბობენ, 60 ათასს მანეთზე მეტი დაეხარჯა. კურთხევა ეკკლესიისა 2 ოქტომბერს უნდა შეესრულებინა მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ბესარიონს, მაგრამ შეუძლებლობისა გამო, კურთხევა მიანდო ჯრუჭისა და ვარძიის მონასტრის არხიმანდრიტებს. საზოგადოება იმოდენა დაესწრო, რომ არამც თუ ტაძარში, გალავანშიაც არ ეტეოდა, წირვის დროს გალობდა რუსულ მგალობელთა „გუნდი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ქართველი გუნდის მარტო უფალო „შეგვიწყალეს“ გალობას.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ქედა, (ქვედა აჭარა). წრევანდელმა გვალვამ ისე გააფუჭა ჩვენში ყანები, რომ ნახევარ აჭარას ზამთრის სარჩო სიმინდიც არ ექმნება. ლობიოს მოსავალი წრეულს სულ არ არის. ხეხილებიდგან ვაშლი ძლიერ ნაკლებია და სხვა ხილები—მსხალი და კაკალი, მაგალითად, წრეულს კარგად არის. ყურძენი, აგერ ათი წელი არის, ჩვენში არ მოსულა. წრეულს უფრო მეტი ჩხავერი და თეთრი მოვიდა. ღვინის დაყენება მაინც არავინ იცის ჩვენში, რომ ჩხავერის ყურძნის ღვინო დააყენოს და რამე ისარგებლოს ღარიბმა ხალხმა. ჩხავერის ყურძნის ღვინოზედ უკეთესი ღვინო არ შეიძლება, მაგრამ ვინ გააკეთებს. მარტო ბეთმეზს და ღვეზელს აკეთებენ ჩვენში. იმას მოადუღებენ და ზამთარში ხმარობენ. სხვაფერად საზოგადოდ ყურძენს ძალიან ცოტას ხმარობენ. თუ ბათუმში ყურძენად წაიღეს, ფასსაც არავინ მისცემს. ზედა აჭარის სოფელ ჭვანაში ყურძნის ხარდალს დააყენებენ ზაფხულობით და სვამენ. ცოტა თუ ღვინის სუნი შეედინდა, მაშინვე დააქცევენ. ისიც არ იციან, რომ შეინახონ და ძმარად აქციონ, ან გაჰყიდონ. ჩვენში ყანების ტეხა-გრეჯა ესლა და საქონლის საკვებს—ნეკერს და ჩალას ალაგებენ.

ცამეტ სექტემბერს, შუადღეზე, სოფელ მერისში უცებ ასტყდა საშინელი ქარიშხალი. სამას სოფლის ნათესი სიმინდი სულ ერთიანად მოსპო და ჩაიტანა ხევში. ცუდმა ტაროსმა სამს საათს გასტანა, თორემ კიდევ რომ ყოფილიყო, მთელ სოფელს ჩაიტანდა აჭარის წყალში. ერთს ღარიბ კაცს თურმე მოტეხილი სიმინდი ჰქონდა ნალიის ქვეშ მოგროვილი, სიმინდი ორმოც კოდამდის ექნებოდა; ჩაიარა ღვარმა თურმე და სულ მოსპო. დარჩა საწყალს ცოლ-შვილი მშიერი.

მადლობა ღმერთსა, აგერ ერთი წელიწადია, რაც ჩვენში თოფით კაცის კვლა აღარ არის, მაგრამ ჯოხით, წალდით და ხანჯლით ცემა და ჩეხვა გახშირებულია სოფელ კოკოტაურში ერთმა კაცმა მეზობლის ყანაში ცხენი გაარონია თურმე. ყანას პატრონი გადუდგა გზაზე და ისე დაჩეხა კაცი, რომ სამ თვეს არ მორჩებაო.

აბდულ ეფენდი მიქელაძე

## სასწავლებლის საჭიროება დაბა ზესტაფონში.

აგვისტოს დამლევი და სექტემბრის დამდეგი რიცხვები ზესტაფონში ღირსშესანიშნავი დღეებია. მაზრის ყველა სოფლიდგან მოდიან თავაწითის შვილებით გლეხები თუ აზნაურები და ერთის ჭაპან-წყვეტით ცდილობენ როგორმე მიაბარონ შვილები ნორმალურ ორ-კლასიან სასწავლებელში. ყოველ წელიწადს მთხოვნელთა ორი მესამედი უკან ბრუნდება გულ-დაწყვეტილი, გულ-ჩათუთქული, რადგანაც სასწავლებელში არც დასაჯდომი ალაგია და არც მასწავლებლებს ძალუძს ამდენის სულის სწავლება. შარშან წინ პირველ კლასში იყო 79 მოსწავლე, შარშან 78, წელს 74. კლასში მასწავლებლისათვის ფეხზედ დასადგომი ალაგი ძლივს რჩება. გათავდება მისაღები გამოცდა თუ არა, გაჩნდება ტირილი, გოდება, მაგრამ რას უშველის ვისმეს ან ერთი, ან მეორე! ყოველს წელს ერთი და იგივე სურათია: სტირიან მშობლები, ბავშვები, წვალობს მასწავლებელი, მაგრამ შეუძლებელს შესაძლოდ ვინ გახდის? რასაც კლასის შენობა ვერ დაიტევს, მალით ხომ ვერ მოათავსებთ? ეხლა გაიხედეთ ქუთაისისაკენ; საქალაქო სასწავლებელი, გიმნაზია, რეალური სასწავლებელი, „ბანკის კლასი“, „პეტრიაშვილის კლასი“ შორაპნის მაზრიდგან მთხოვნელებით არის გავსებული. ვისაც ბედი გაუღიმებს, მიიღებენ, ვისაც „იღბალი“ არ სწყალობს, უკანვე ბრუნდება ატირებული. რა ვქნათ, რა ვიღონოთ? თითოეული აქ მცხოვრებთაგანი ვალდებულია ამ კითხვას ჩაუფიქრდეს და თუ რამ წამალი იცის, მომმეებს გაუზიაროს. ჩვენც ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ და გვსურს ამ საგნის შესახებ ჩვენი შეხედულება გავუზიაროთ საზოგადოებას.

მესამე წელიწადია ყურს ვუგდებ ხალხის გულის თქმას. აშკარაა, მას სწავლის სურვილი გაჰღვიძებია, უკანასკნელს გროშსაც აღარ იშურებს, ოღონდ შვილი უსწავლელი არ დარჩეს. ქართულ-რუსულ ანბანისა და წერა-კითხვის შესწავლა აქ თითოეულზედ ას მანეთამდე ჯდება, რადგანაც, გარდა სკოლებისა და ნორმალურ სასწავლებლს გარდა, სხვა სასწავლებელი არ მოიპოვება. ყველასათვის ცხადია, რომ დ. ზესტაფონში უნდა დაარსდეს ერთი ხეირიანი სასწავლებელი, დღეს თუ არა, ხვალ მაინც; ყველა გაისმის ამის შესახებ ყრუდ ლაპარაკი ხალხში, მაგრამ ყველა საქმეს მოთავე და მთქმელი უნდა; მთქმელს კი კარგი გამგონე; უთავოდ არც ერთი საქმე არ გაკეთდება. ჩვენის აზრით, ამგვარი თაოსნობა მთელს მაზრაში დ. ზესტაფონმა უნდა იკისროს, როგორც უფრო შეძლებულმა და ცხოვრების გზაზედ გამოსულმა. ორ-სამჯერ კიდეც შეიკრიბნენ ზესტაფონის მცხოვრებნი, მაგრამ, საუბედუროდ, იმისი ამხსნელი კაციც არ დარჩა, რა იყო საჭირო ბოროტო საგანი, ან როგორ უნდა გადაწყვეტილიყო საქმე. ღვთის წინაშე „გამგონნიც“ ვერ გამოდგნენ კარგები, მაგრამ ეს ყველაზედ არ ითქმის. სწორედ ამ უთავბოლობით აიხსნება ის, რომ სამსავე კრებაზედ ერთი ალიაქოთი იდგა, მეორე ბაღდადს: ვინ სასწავლებლის შესახებ ლაპარაკობდა, ვინ პოლიტიკისა, ვინ ეკლესიაზედ დარაჯის დაყენებისა და ვინ კიდევ, ვინ იცის, რის შესახებ. „სასწავლებელი გვინდა, სწავლა ძლიერ კარგი საქმეა, ყველა უნდა ვეცადოთ ამისთვის, ოღონდ თქვენ ნურც მიწას იყიდით და ნურც ფულებს გამოიღებთო“, —ჰბრძანა ერთმა, მას ბანი მისცა მეორემ და დაბოლოვდა საქმე. სწორედ აქ გაგვახსენდა ანდაზა: „Куда баранъ, туда и стадо“-ო. სადაც არ ვიკითხავ, ვისაც არ მივმართავ, ყველა მეუბნება: „გადაგვახდევინეთ, რამდენიც გსურდეთ, ოღონდ ერთი სასწავლებელი გაგვიხსენითო“. ძლიერ კარგი! მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მზრუნველი მარტო მცირე-წლოვანთ საჭიროა. ამას გარდა, ისიც სათქმელია, რომ მზრუნველი ათასნაირია: ერთი მართლა მზრუნველია, მეორე მხოლოდ მზრუნველობის ქერქს ატარებს, შიგნით კი ვინ იცის, რა არის. ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ. მთავრობა უთუოდ დახმარებას გაგვიწევს, მზად არის, რაც შეიძლება, საქმე გაგვიადვილოს, ოღონდ ჩვენც უნდა ვაჩვენოთ რამე. ყვავს ბახალა მოუკვდა და ბუს მიუგდო თურმე: „დიდი თავი გაქვს და შენ იტირეო“. ზესტაფონი ამ გზას ადგა ჯერ, მაგრამ დანამდვილებით ითქმის, რომ მარტო მთავრობა, ძალიანაც რომ ჰსურდეს, ვერას გახდება, რადგანაც საერო განათლების სამინისტრო ხელ-მოკლედ არის, ძალა არ შესწევს.

(დასასრული იქნება)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც ამას წინად უკვე ვაუწყეთ მკითხველებს, გამოვიდა მეათე გამოცემა ბ-ნ ი. გოგებაშვილის „ბუნების კარისა“. ეს გამოცემა გადმობეჭდილია წინა გამოცემიდგან, მხოლოდ ჩამატებული აქვს რამდენიმე სურათი და ვრცელი აღწერა ტაძრებისა: ალავერდისა, მცხეთისა და გელათისა. ამას გარდა ახალ გამოცემას მიუძღვის წინასიტყვაობაც. ეს წინასიტყვაობა იმდენად საყურადღებოდ მივაჩნია, რომ მოგვყავს იქიდგან ზოგიერთი ადგილი.

„ჩვენ დიდად მოწადინებული ვიყავით,—სწერს ავტორი,—მიგვეცა ჩვენის სკოლებისა და ოჯახებისათვის სახელმძღვანელო წიგნი, დამყარებული პედაგოგიურს უკვდავ პრინციპებზე და სავსებით შესაბამი ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის სკოლისა და მეტადრე იმ განსაკუთრებულის მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება ქართული ენა სკოლებში.

რუსეთში, მაგალითად, რუსული ენა შეადგენს უმთავრესს სავალდებულო საგანს, რომელიც აუცილებლად უნდა ბეჯითად და კარგად ასწავლოს მასწავლებელმა და კარგად შეათვისებინოს მოსწავლეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი ჰკარგავს თავისს თანამდებობას და მეორენი ირიცხებიან სასწავლებლიდან. რუსულის ენის სახელმძღვანელო ყოველთვის უნდა იქმნას გათავებული, რაც უნდა იგი მშრალი და უინტერესო იყოს. სრულიად სხვა მდგომარეობაში არის კაი ხანია ქართული ენა. იგი არ შეადგენს ბევრს სასწავლებელში არამც თუ მთავარს სა-

---

მელმაც ამდენი ხანი თვის უხვ მმობლიურ კალთებ ქვეშ შეინახა. მოშორდა თვისს სახლ-კარს, თავისს საყვარელ ცოლ-შვილს. სხვა რაღა დარჩენოდა ამ ქვეყნად!

როცა ერთი მილი გაიარეს, გალლიმ გააჩერა ცხენი ერთ სამჭედლოს წინ და გადმოხტა, ამას სურდა კიდევ ერთი წყვილი ბორკილები გაეკეთებინებინა აქ თომასთვის.

ცოტა ხანს უკან თომას შემოესმა ცხენის გაცხარებული თქარა-თქური და პატარა ხანს უკან შელბის ახალგაზდა შვილი გამოჩნდა. ის ბავშვობითვე იყო შეზრდილი თომასთან და როცა გაიგო თომა წაიყვანესო, ვეღარ მოითმინა, შეჯდა ცხენზედ და გამოეკიდა.

— რა სულის სიმდაბლეა,—უთხრა მან თომას და მოეხვია გულმხურვალედ: მე რომ დიდი ვყოფილიყავ, სწორედ არ დავსთანხმდებოდი შენს გაყიდვას.

— ძალიან კმაყოფილი ვარ, ჩემო ახალგაზდა ბატონო, რომ თქვენც გამომეთხოვეთ, მწყინდა, რომ თქვენი უნახავი მივდიოდი.

— ეგ რაა? წამოიძახა გაკვირვებულმა ჟორჟმა ბორკილების დანახვაზედ: ვაი, სირცხვილო! მე ვაჩვენებ მაგ წუწკ ვაჭარს თავის სეირს, და გაიწია კიდეც ვაჭრის საცემრად, მაგრამ თომამ შეაჩერა.

— არა, ბატონო, ნუ იზამთ მაგას, თუ ჩემთვის სიკეთე გინდათ,—შეეხვეწა თომა: მხოლოდ პირობა მომეცი, რომ ისეთივე გულ-კეთილი და სათნოიანი იქნებით, როგორიც დედა თქვენი, ეცდებით ამასთანავე ნამდვილი ქრისტიანი იყოთ.

— არას დროს არ დავივიწყებ შენს დარიგებას, თომა, მიუგო ყმაწვილმა: აი, ჰნახავ, თუ არ გამოგიხსნა. ეხლა კი აჰა ეს დოლლარი ჩამოიკიდე გულზედ ჩემ სახსოვრად,—დაუმატა ჟორჟმა, ერთი კიდევ გადაეხვია თავისს საყვარელს თომას და განშორდა.

ვაშინგტონში გალლიმ კიდევ რამდენიმე ნეგრი იყიდა და რამდენისამე დღის შემდეგ თავისის საქონლით მდინარე ოგაიოზედ გემით მიემგზავრებოდა. ვაჭარს განზრახვა ჰქონდა ყველგან, სადაც-კი გემი გაჩერდებოდა, კიდევ ეყიდნა ნეგრები. გემზედ მოქცეული თეთრ-კანიანი საზოგადოება მეტად მხიარული და უდარდელი იყო, წამდაუწუმ მხიარული სიცილ-ხარხარი გაისმოდა. მეორე ჯაუფი-კი, რომელიც მონებისაგან შესდგებოდა, მეტად დაღვრემილად და ნაღვლიანად გამოიყურებოდა. ისინი სხვა საქონელთან ერთად გემის ბაქანზედ მოეთავსებინათ. მოწყენით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. საკვირველს, ყოველს მათგანს თავისი საკუთარი დარდი-ნაღველი ჰქონდა, რომელიც ერთ წუთსაც არ ასვენებდა, ჰკლავდა, სტანჯავდა, მაგრამ ამათ ხმაც არ ამოეღოთ და უსიტყვოდ დაჰმორჩილებოდნენ თავისს ხვედრს.

ერთ პატარა ქალაქში, სახელდობრ, კენტუკკიში, გალლი გადმოვიდა ნაპირას და როცა დაბრუნდა, თან მოჰყვა უკან ფაქიზად ჩაცმული ქალი, რომელსაც ხელში ძუძუ მწოვარა ბავშვი ეჭირა. ამათ უკან ბოლჩით ხელში ნეგრი მისდევდათ. ქალი ავიდა გემზედ, დამშვიდებული ჩამოჯდა იქვე სკამზედ და ბავშვს მიუალერსა. როცა გემი დაიძრა, გალლი გაიძვერულის ნაბიჯით მიუახლოვდა ქალს და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში.

— მე თქვენი არა მჯერა რა!—გააწყვეტინა გულ-მოსულმა ქალმა.

აი, თუ არა გჯერა, დარწმუნდი. აგერ შენის პატრონისაგან მოცემული ნასყიდობის ქაღალდი,—მიუგო გალლიმ და თან გულ-გახეთქილ ქალს გადაუფურცლა იგი. აგერ იმისი მოწერილი ხელიც, რა გგონია, იაფად-კი არ დამიჯდა შენი თავი.

— არა, ტყუილია! განიმეორა თვალზედ ცრემლ-მომდგარმა ქალმა: თავის დღეშიაც არ დავიჯერებ, რომ ჩემი ბატონი ავრე უსინდისო იყოს! იმან მითხრა: მახლობელს ქალაქში მიემგზავრები სამუშაოდაო, იქ, სადაც ჩემი ქმარიც ჰმსახურობსო,—თითქმის ჰყვიროდა გამწარებული ქალი.

როცა დარწმუნდა, რომ პატრონს უსინდისოთ მოეტყუებინა, გაჩუმდა საბრალო და ბავშვს ძუძუს წოვება დაუწყო. ცოტა ხანს უკან მას მიუბრუნდა უცნობი მგზავრი.

— რა კარგი ბავშვი გყოლია, რამდენის წლისაა?

— ათის თვისა და ნახევრისა,—მიუგო დედამ.

მგზავრმა ახლა გალლისკენ გაიწია.

— რა ლამაზი ქალი გიყიდნიათ, მიუბრუნდა ის გალლის: სად მიგყავთ?

— ერთ პლანტაციაში მზარეულად,—მიუგო გალლიმ.

— მაგისი ბავშვი? როგორ მომყიდით მაგას? მე დიდი სიამოვნებით ვიყიდდი, გამოაცხადა უცნობმა. და ცოტა ხნის ვაჭრობის შემდეგ ბავშვი გაყიდულ იქმნა.

— თქვენ სად ჩამოხტებით?—შეეკითხა გალლი.

— ლუიზ ვილში,—მიუგო მგზავრმა.

— ძალიან კარგი, იქამდე დაბინდდება კიდეც, უნდა ეცადნეთ როგორმე დედის შეუმჩნევლად წაიყვანოთ ბავშვი.

როცა გემი გაჩერდა ამ ქალაქთან, ახალგაზდა ქალმა მისდო მძინარე ბავშვი იქვე ხორბლით გატენილს ტომრებზედ, გადავიდა ნაპირზედ და რადგან იმედი ჰქონდა აქ ქმარსა ნახავდა, თვალიერება დაუწყო. მაგრამ იმედი გაუცრუვდა და ნაღვლიანად დაბრუნდა უკან. როცა გემზედ ავიდა, ბავშვი თავისს ადგილზედ აღარ დახვდა; აქეთ ეცა, იქით ეცა, ცამ ჩაყლაპა, თუ დედამიწამ, ვეღარა გაიგო-რა! ერთი საზარლად დაიკივლა, წაიშინა თავ-პირში და გულსაკლავ ტირილს მოჰყვა.

გალლი ყოველ საშუალებას ჰხმარობდა დაემშვიდებინა. არწმუნებდა, რომ იმის შვილს არა გაუჭირდებოდა-რა, თავის მხრივ ეცდებოდა არც ამისთვის გაეჭირვებინა რამე, მაგრამ ამაოდ, ქალი უფრო და უფრო ეძლეოდა სასოწარკვეთილებას. იგი აღარა სტიროდა, მხოლოდ გაშტერებული, უაზროდ იყურებოდა აქეთ იქით. ამის მაყურებელს თომას გული უკვდებოდა: სცადა კიდეც ერთი ხელობა ენუგეშებინა, მაგრამ ცდამაც ფუჭად ჩაიარა.

დაღამდა. ცა შეიჭედა ვარსკვლავებით; გაბადრულ მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და თავისს ნაზს სხივებს უხვად აფრქვევდა ირგვლივ. გემზედ ყველა დაზინავდა. შუაღამისას თომას გამოეღვიძა, თვალი მოჰკრა ადამიანის მსგავსს აჩრდილს, რომელმაც გვერდზედ გაურბინა და მდინარეში გადავარდა. თომამ მიიხედა იქითკენ, სადაც საბრალო დედა ეწვებოდა, მაგრამ იქ აღარავინ დახვდა.

მეორე დღეს გალლიმ თავის უბის წიგნში გულგრილად ჩასწერა ზარალის რაოდენობა. იგი ამ გვარ შემთხვევებს დაჩვეული იყო.

ა. წინამძღვრიშვილი

(შემდეგი იქნება)

განსა, არამედ სავალდებულოსაცა. შეიძლება მასწავლებლებმა იგი აწყვილოს უსწავლოდ და უგულოდ და თავის ადგილზე დარჩეს თუნდა ორმოცი წლობით. მოწაფეებს შეუძლიათ გულ-გრილობით მოეკიდნენ ქართულ ენას, სრულიადაც არ იწყვილონ იგი და მაინც ყოველ წლივ გადაიყვანონ შემდეგ კლასებში და მიიღონ ჩინებული ატესტატები. მართალია, დედა-ენის უცოდინარობა ყოველ ნაბიჯზე შეუშლის ხელს შემდეგში, როცა ყმაწვილი სკოლიდან ცხოვრებაში გადავა, მაგრამ სკოლაში იგი ამას არა გრძნობს, არა ხედავს. ამისთანა მდგომარეობაში მშრალი სახელმძღვანელო ქართული ენისა, თუნდა იგი ძალზე გამოსადეგი იყოს, იმოქმედებს იგე, როგორც მოქმედებს ცივის წყალის დასხმა მშიერის ცოცხლზე. წინააღმდეგ ამისა, თუ სახელმძღვანელო სავსეა სანდომიანი, მომხიბლავი და ცოცხალი შინაარსით, იგი ბევრად შესძლებს უაღმართ გარემოებათა გავლენისა, დამბადავს და გაზრდის ყმაწვილის გულში მხურვალე თანაგრძნობას დედა ენისადმი და ეს თანაგრძნობა გაზრდის წყურილ თვით-მსწავლელისა. ძალ-დატანება აქ საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ წიგნი სასიამოვნოდ აიძულებს ყმაწვილს კითხვას, თავის შეთვისებას. როგორც გვეუბნება მომზადებული სამქვლი უწყების გვერდის მედა დაკარგვის ადგილიანია, ისე კარგად შეხვედრილს სახელმძღვანელოს მოჰყავს ყმაწვილი დედა-ენის სახელისათვის. ქართული ენის სახელმძღვანელო, —განაგრძობს შემდეგ ავტორი, —მტკიცედ უნდა იდგეს ეროვნულს ნიადაგზედ და ახსენდიდეს არა მარტო ქართულს მეტყველებას, არამედ აზროვნებას და ზნესაც სამშობლოსა.

## უცხოეთი

**ინგლისი და ტრანსვაალი.** ტრანსვაალის საზღვარზედ ტრანსვაალის ჯარის ფურგონები დაინამიტით გაზრდილი კრონიდ. ამ გვერდზე ძლიერ აშვენებს გაზეთები, როგორც გამოიდეობს და მახლა მოიხმა. 1880 წელს, როცა ბურებმა იარაღი ხელში ხელში აიღეს თავიანთ დამოუკიდებლობის დასაცველად, მარჯვენად ამ ჯარმა დაამარცხა ინგლისელები, რომელიც კრონიდ ხელმძღვანელობით იბრძოდა. კრონიეს ჯარი გარს ახვევია ესტა მეფეინგს, სადაც ინგლისის ჯარის ფურგონებით პოლკოვნიკი ბადენ-პაუელი. კრონიემ თუ აქ დაამარცხა ინგლისელები და ეს ხლაგი დაიჭირა, ბურების საქმე ძლიერ გაუმჯობესდება, მეფეინგისა დამცემული ბურები გაბატონდებიან კიმბის და ბულავაიოს შუა რკინის გზაზედ და ინგლისელებს გზა მოეჭრებათ სამხრეთით და ჩრდილოეთით შუა. კრონიეს ჯარში 12,000 ჯარისკაცია, რომელიც მეტად ბევრია ქვეყანაში სეზონისათვის, ძლიერ გაუმჯობესდება საქმე, რადგან სამხრეთიდან ინგლისელი ჯარი გზა მოკლეა ქნებით. სხვა—როდესაც ჩრდილოეთ დაიდება მეფეინგის დაჭერით.

**საფრანგეთი.** რესპუბლიკის წინადადება შეიტანეთ საფრანგეთის სახელმწიფოსამაგდ მიიღო მოსწავლეობა. ეს გადაწყვეტილება გამოაცხადეს და ამას დიდი აღელვება მოუვდა საფრანგეთის საზოგადოებაში. როგორც მოსალოდნელი იყო, სასულიერო წოდების წინააღმდეგ დიდი მსახვობი იქნება მოლაპარაკე და რადგანელი იქნება გადაცვა უნდა შეკვეთის მიღებაში, რომ ეგრი დიპლომატიის მიიღება, ეგრეთ ეტიკებისაგან წინააღმდეგ მასტადუდა ეს მხედრობის საფრანგეთი კომისიას დაგდება, მოსწავლედ დაურჩება

საფრანგეთის დესპანის თანამდებობაზე ვატიკანში. ეს დადგენილება პოლიტიკური შეცდომაა და ის თუ მართლა ასრულდება, ვნების მეტს სხვას არას მოუტანს საფრანგეთის რესპუბლიკას. საფრანგეთის ზოგიერთმა გაზეთებმა კარგათ შეიგნეს საბიუჯეტო კომისიის დადგენილების ავ-კარგიანობა და ამტკიცებენ, რომ შეცდომილებაა იქმნება რომის პაპის დაპარალვოთ საფრანგეთის კათოლიკეთა ზოგიერთ კონგრეგაციის პროპაგანდა რესპუბლიკის წინაღმდეგო. გალლუა-რუსის სამინისტროს წინადმდეგი კომისიის დადგენილებისა და მაგნებლად მიიჩნია საფრანგეთისათვის დესპანის თანამდებობის გაუქმება რომის პაპის სასახლეში.

---

**ამერიკა.** შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა, ადმირალ დიუისთან თათბირის შემდეგ, გარდასწყვიტა გაეგზავნა ფილიპინების წყლებში ჯავშნიანი გემების ესკადრა. ზღვათა მინისტრმა ლონგმა, ითათბირა-რა თავისის მხრით დიუისთან, ბრძანება გასცა მაშინვე წასულიყო მანილაში ერთი სამხედრო გემი. ახალ ორლეანის ნავთსადგურში მყოფს ორს გემსაც გაუგზავნა მინისტრმა ბრძანება,—რაც შეიძლებოდეს ჩქარა მოემზადენით ფილიპინებისაკენ წასასვლელადაო. გარდა ამისა, ინგლისის წყლებში მყოფი ერთი გემიც ჩქარა უნდა შეუერთდეს მანილის ესკადრას.

ადმირალს დიუის უკმაყოფილება განუცხადებია იმის გამო, რომ დიუსონს სუსტად აქვს თურმე ალყა შემორტყმული, და დაჟინებია პრეზიდენტი მაკ-კინლეი საშველი გემები და ჯარი გაუგზავნოს ადმირალს ოტისონს, რათა შეიძლება მიეცეს მას სრულიად მოუჩრას ფილიპინელებს დამოკიდებულება ჩინელებისა და იაპონელებთან.

## დარიგებანი

ოქროს ცეცხლით სცდიან, დედაკაცს—ოქროთი და მამაკაცს—დედაკაცით.

სენეკა

***

მეფენი ისე არიან აღზრდილნი, რომ ყველასთან შეეძლოთ ცხოვრება; კარგი იქნება, რომ ყოველი ადამიანი მეფესავით აღზარდონ.

კარმენ სილვა.

***

თუ გსურს ამოკარგეს კაცის კადა და აკაზაკობა, ნუ ხანჯალს წაართმევ ერსა შენსა, გარნა შეაყვარე იგი, და თვითონ შეიყვარე და მასაც შეაყვარე წიგნი, სიმართლე, მმობა, ერთობა.

ლასურიძე

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვიწყით, კარგა ხანია ევროპიელნი მოგზაურნი და მეცნიერნი მოწადინებულნი არიან ჩრდილოეთ პოლიუსის გადაშვლას და აქ ჯერეც გამოუკვლეველ კუთხის გამოკვლევას; მაგრამ საშინელის სიცივის და ყინვების გამო ეს განზრახვა დღემდის ვერ ეღირსა განხორციელებას. ყველაზედ მეტად აქამდის ჩრდილოეთ პოლიუსს მიუახლოვდა ნორვეგიელი მოგზაური ნანსენი, მაგრამ ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ამერიკელ მგზავრს პირის ნანსენისთვისაც უჯობნებია და ნანსენის მიერ გავლილ მანძილთან შედარებით 50 გეოგრაფიულ მილით უფრო მიახლოვებია ჩრდილოეთ პოლიუსს. საუბედუროთ, პირის ერთი ფეხი გაჰყინვია და ამის გამო მგზავრობა ველარ განუგრძვია. პირის ექსპედიცია ამ ზამთარს უკან დაბრუნდება, ხოლო გაზაფხულზედ ხელ-ახლა შეუდგება ჩრდილოეთისკენ მგზავრობას.

***

ამას წინად პარიჟის ერთ სასამართლოში შემდეგი ამბავი მომხდარა. ირჩეოდა თურმე ამ სასამართლოში საქმე ვინმე ფრანსუასი, რომელსაც სახლის გატეხა და ქურდობა ბრალდებოდა. ფრანსუას ვექილი არა ჰყოლია და სასამართლოს თავმჯდომარეს იქვე მყოფ ერთის ახალგაზდა ვექილისათვის უთხოვნია ვექილობა გაეწია ბრალდებულისათვის. ვექილს საქმის გასაცნობად ფრანსუა მოწმეთა ოთახში გაუყვანია და გამოკითხვას შესდგომია, თან მათ ერთი სერჟანტი გაჰყოლია. ფრანსუას დაუწყვია თავისი ბიოგრაფია და, სხვათა შორის, უთქვამს, რომ ამ ოცის წლის წინად საპყრობილედგან გავიპარეო. „როგორ მოხდა ეგაო?“ უკითხნია ვექილს,—აი ასეო,—უთქვამს ფრანსუას, მისულა ამ სიტყვებთან ერთ ფანჯარასთან, ხელად გადამხტარა ქუჩაში, იქიდგან ქალაქს გარეთ გავარდნილა და მახლობელ ტყეში შეფარებულა. სერჟანტი და ვექილი თვალებ დაჭყეტილები შეჰყურებდნენ თურმე ფანჯარას და ელოდნენ როდის დაბრუნდება ფრანსუაო. ფრანსუა-კი ისე გამქრალა, როგორც შარშანდელი თოვლი.

***

პარიჟში ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა ამას წინად ვინმე მაგდალინა ლიმუზენი, რომელიც ერთ დროს მიზეზად გახდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟიულ გრევის სამსახურიდგან გადადგომისა. მაგდალინა ლიმუზენი გენერალ კაფფარელთან ერთად 1887 წელს სამართალში იქმნა მიცემული. ჰბრალდებოდა მათ საპატიო ლეგიონის ორდენების გაყიდვა. სასამართლოში გამოირკვა, რომ ამ სამარცხვინო საქმეში წილი მიუძღოდა აგრეთვე პრეზიდენტის გრევის სიძეს ვილსონსაც, რომელსაც ცოლად პრეზიდენტის გრევის ერთად-ერთი ქალი ჰყავნდა. ამის გამო საქმე ჩააფუჩეჩეს, ლიმუზენი და კაფფარელი გაანთავისუფლეს; მაგრამ პრეზიდენტი-კი იძულებული გახდა სამსახურიდგან გადამდგარიყო. ვილსონი დღეს პარლამენტის დეპუტატია.

***

კარგა ხანია სამხრეთ აფრიკაში ბრაზილიასა და ბოლივიას დავა აქვთ ერთმანეთში საზღვარზედ მდებარე ერთის ნაჭერის მიწის გამო. ამ დღეებში ამ მიწაზედ მცხოვრებთ თავიანთი ადგილი და კუთხე თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს. ახალ სახელმწიფოს სახელად მცხოვრებთ „აკრის რესპუბლიკა“ დაარქვეს. ამ რესპუბლიკაში სულ 30,000 მცხოვრებია.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „რუსულ ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი“, ივ. როსტომაშვილის რედაქციით გამოცემული; მესამე წიგნი. ამ წიგნში მოყვანილია სიტყვები ასო „ვ“-ზედ. წიგნი მოზრდილია და სუფთად არის გამოცემული. მეოთხე წიგნი ასო „გ“ და „დ“-ზედ, როგორც ბ-ნი როსტომაშვილი იუწყება, გამოვა ამ წლის დასასრულს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 ოქტომბერი

**ლონდონი.** დღეს გამოცემული „ლურჯი წიგნი“ შეიცავს დეპეშებს ტრანსვაალის საქმის გამო 8 სექტემბრიდგან დაწყებული 12 ოქტომბრამდე. ერთ დეპეშაში კაპის ახალშენის სამინისტრო დაბეჯითებით სთხოვს ინგლისის მთავრობას ეცადოს, რომ ომი აცილებულ იქმნას. 3 ოქტომბერს ნატალის გუბერნატორმა ჩემბერლენს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც ატყობინებდა ფრეიხეიდის ოლქში სჩივიან, რომ ბურები ცუდად გვექცევიან და თხოულობენ, საქმე ინგლისიჩში აერიოსო. გუბერნატორი იმედს აცხადებს, რომ ფრეიხეიდის ოლქის ზულუსები ბურების წინააღმდეგ იმოქმედებენ ომის დროსაო.

**პრეტორია.** 2 ოქტომბერს ტრანსვაალის მთავრობის მიერ მიღებული დეპეშა იუწყება, რომ მეფეკინგის ჩრდილოეთ ით ბრძოლააო. მეორე შეტაკების შემდეგ ინგლისელები ქალაქისკენ დაწეულან, მაგრამ შემდეგ უკან დაბრუნებულან და ომი განუახლებიათ.

**კაპშტადტი.** კიმბერლეიდგან მოსული დეპეშა იუწყება, რომ სამხედრო მატარებელი იქმნა გაგზავნილი სპეტფონტეინისკენ; ამასთან შეტაკება მოხდაო. მოკლულ იქმნა ხუთი ბური ხოლო შვიდი დაიჭრა. ინგლისელების მხრივ არავინ მოკვდარა.

**ლონდონი.** დურბანიდგან იუწყებიან, რომ ადგილობრივმა ქალაქის მოურავმა დუნდიდგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამ ქალაქიდგან ქალები და ბავშვები სულ ერთიან გახიზნენო.

**პარიჟი.** ახალშენთა სამინისტრომ დეპეშა მიიღო პალიესაგან, რომელმაც ვულეს რაზმის უფროსობა იკისრა. დეპეშაში ამოწმებს პოლკოვნიკის კლობბის მოკვლის ამბავს. დეპეშაში არ არის ნათქვამი, ვულე და შანუანი სად წავიდნენ.

**მადრიდი.** ბარცელონის უნივერსიტეტში უწესოება მოხდა. გამოწვეულმა ჟანდარმებმა სამი სტუდენტი დააპატიმრეს.

**ლონდონი.** დღეს გაიხსნა პარლამენტის საგანგებო სესსია. ტახტის სიტყვაში ნათქვამია, რომ მეტად საყურადღებო გარემოებანი იძულებულ ჰყოფენ დედოფალს პარლამენტის რჩევასა და დახმარებას მიჰმართოსო. საქმის ვითარების გამო სამხრეთ აფრიკაში, საჭიროა, რომ გაძლიერდეს სამხედრო ძალა და მოწვეულ იქმნას სათადარიგო ჯარიო.

**ლონდონი.** მთავარ-სარდალმა ბულლერმა წასვლის დროს განაცხადა, ნამდვილ ბრძოლას მანამდე არ მივყოფ ხელს, მანამ 75,000 ჯარისკაცი არ მეყოლებაო.

### წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესადესს მადლობას ვუძღვნი ბ-ნ იოსებ ლეჟავას, რომელმაც საჩხერის სამრევლო სკოლის საბავშვო წიგნთ-საცავს შემოსწირა ოც და თორმეტი წიგნაკი სასულიერო-ზნეობრივის შინაარსისა, ღირებული სულ 1 მ. 60 კ. იმედი გვაქვს ყველა მოგვექცევს ყურადღებას და ფულით, თუ წიგნებით ამოგვიჩენენ შემწეობას შემდეგის ადრესით: Въ Сачхери, черезъ Чіатуры, учителю Сергѣю Джинчвелашвили.

საჩხერის სამრევლო სკოლის მეწიგნთ-საცავე მასწ. სერგი ჯინჭველაშვილი


## განცხადებანი

### ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 18 ამა ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში **მოხდება საჯარო ვაჭრობა** ქალაქის სასწორების იჯარით გასაცემად. სასწორები გამართულია შემდეგს მოედნებზედ: ვერისა, მეიდანისა, ავლაბრისა და დეზიმონოვისაზედ და იარმუკაზედ. ყველა სასწორის იჯარით გაცემის ვაჭრობა ცალკე მოხდება. პირობების გასინჯვა გამგეობის კანცელარიაში შეიძლება ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—6,—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




### ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

### „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეჭეჭებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—16)

გამოვიდა გასასყიდად ბროშიურა რუსულ ენაზე:

### НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНІЯХЪ

თხზ. ი. პ. როსტომაშვილისა, ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 30%, თუ დაიბარებენ არა ნაკლებ 5 მანეთისა, და გაგზავნითაც ჩვენ გავუგზავნით. **ადრესი:** ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.


Дозволено цензурою. Тифлисъ 6 Октября 1899 г. სტამბა შ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.